

საქართველოს კანონი

„ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის  
სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 33, 31 ივლისი, 1997 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 25-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე, ამ კანონის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე:

ა) რომლებითაც ხორციელდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული გადაყვანა/გადაზიდვა, აგრეთვე ამავე კანონის პირველი მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვა;

ბ) რომელთაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწეობა აქვთ.“

ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. 2004 წლის 13 სექტემბრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება შეჩერდეს;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს მხოლოდ იმ დაუზღვეველ ავტომოტოტრანსპორტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, რომლებიც ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ექვემდებარებიან სავალდებულო დაზღვევას. სხვა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება წარმოებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.